აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 8

28 აგვისტო 2012 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე და ლევან გაბრიჩიძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება-ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

1. **განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილების შესაბამისად, უსკოს მიერ რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იმავდროულად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი იმავე რიგითი ნომრით მიიღებს მონაწილეობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში, ვინაიდან საარჩევნო სუბიექტების მიერ უსკოს დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში არანაირი განცხადება რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ არ შემოსულა. (საარჩევნო სუბიექტს, რომელსაც სურდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიეღო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მინიჭებულისაგან განსხვავებული რიგითი ნომრით, ამის შესახებ განცხადებით უნდა მოემართა უსკოსათვის კენჭისყრამდე არაუგვიანეს 37-ე დღისა). ასევე აღნიშნა, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი”-ს, საქართველოს ორგანული კანონის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილების შესაბამისად, რიგითი ნომრის მისანიჭებლად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, წილისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ

საარჩევნო სუბიექტებმა, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში, წილისყრისას ნომრების რაოდენობა შეესაბამება წილისყრაში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობას, ხოლო რიგითი ნომრები იწყება საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის /საარჩევნო ბლოკებისათვის და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო ზრდადობითი რიცხვიდან. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობით წილისყრაში მონაწილეობის გზით რიგითი ნომერი მიენიჭება მხოლოდ ერთ საარჩევნო სუბიექტს „დემოკრატიული სიმართლის პარტია“-ს №43, ვინაიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული და (მიღებული განკარგულებების) ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების, ასევე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარული კანდიდატებისთვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომერია №42 .

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 119-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის

2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილების და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №135 და 2012 წლის 20 აგვისტოს №193 განკარგულებების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვროთ შემდეგი რიგითი ნომრები:

№1 - პოლიტიკური გაერთიანება „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;

№5 - პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“;

№9 - „სამართლიანი საქართველოსთვის“;

№10 - საარჩევნო ბლოკი „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება“;

№17 – „სახალხო მოძრაობა“;

№18 – „ხალხის პარტია“;

№23 – „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“;

№24 –„ახალი მემარჯვენეები“;

№38 – „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;

№41 საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“;

№43 - „დემოკრატიული სიმართლის პარტია“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანს ქეთევან ჯიქიას სთხოვა განკარგულების პროექტის კომისიისათვის გაცნობა.

ქეთევან ჯიქიამ კომისიას გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და დეტალურად ისაუბრა სხდომაზე წარმოდგენილი ფორმების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო პროპორციული) (ფორმა №1-07.30.02);

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.31.02);

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.32.02);

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული) (ფორმა №1-07.33.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ წამოჭრილა

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**